მტაცებელი ფრინველი ბუ

დალი ქოქოშვილი
იტალიური სკოლა „ცისკარი“

კლასი-მესამე
საგანი (საგნებისათვის) - ქართული - ბუნებისმეტყველება

სასწავლო მიზნები-მოსწავლემ შეძლოს, წაიკითხოს რ. ინანიშვილის მოთხრობა „კეთილი, ბებერი ბუები“; მოთხრობის მიხედვით დაახასიათოს პერსონაჟები; ბუნების წიგნში წაიკითხოს მასალა ბუებზე და ორ სხვადასხვა ტექსტზე დაყრდნობით იმსჯელოს იმაზე, თუ როგორია ბუ სინამდვილეში.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი
უჩვეულო-უცნაური
გიზგიზა-ბრიალა
გაშეშებული-უძრავად, უმოძრაოდ მყოფი

საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი:
მოთხრობა,
სქემა,
საინფორმაციო ტექსტი,
ვიდეოფილმი.

გაკვეთილის დროში გაწერილი მიმდინარეობა:

აქტივობა პირველი(5წთ)

მასწავლებელი სვამს კითხვებს, მოსწავლეები პასუხობენ:

- ჩამოთვალეთ გარეული ფრინველები.
  პასუხები: არწივი, ბუ, ქორი, ძერა, ხოხობი, შაშვი, მერცხალი და ა.შ.
- რომელია მათ შორის მტაცებელი?
  პასუხები: არწივი, ქორი, ძერა, ბუ...

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გაიხსენონ ყველაფერი, რაც ბუს შესახებ იციან.

მასწავლებელი სვამს კითხვას: **რა იცით ბუს შესახებ?**
სავარაუდო პასუხები:

ფრინველია;
- ✓ დღისით სძინავს, ღამით კი იღვიძებს;
- ✓ დღისით ვერ ხედავს;
- ✓ დებს კვერცხებს;
- ✓ იკვებება მწერებით.

მოსწავლეები საკუთარ მოსაზრებებს წერენ მასწავლებლის მიერ მომზადებულ აპლიკაციაში.

აპლიკაცია: რა ვიცით ბუს შესახებ



- **აქტივობა მეორე(10წთ) -** მოთხრობის კითხვა სქემის დახმარებით.

მოსწავლეები კითხულობენ:

ა) რ. ინანიშვილის მოთხრობას ,,კეთილი ბებერი ბუები“ და მსჯელობენ, როგორია ბუ ამ მოთხრობის მიხედვით;

ბ) ბუს შესახებ საინფორმაციო ტექსტს და ავსებენ სქემას ბუს თვისებების უკეთ შესწავლის მიზნით.

„კეთილი ბებერი ბუები„

იყო ორი ბუ, ორივე ძალიან ბებრები და საბრალონი. შვილები აღარ უჩნდებოდათ. ისხდნენ ვეება მუხის ფუღუროში და ან ეძინათ, ან თავის უბედობაზე ბუზღუნებდნენ: რაღაა ჩვენი სიცოცხლე, რისთვისღა ვარსებობთ ქვეყანაზეო.

ღამით ფუღუროდან გამოფრინდებოდნენ, გათენებისას დაბრუნდებოდნენ თავიანთ ფუღუროში და ეძინათ ზურგშექცეულებს, ან ისევ თავიანთ უბედობაზე იწყებდნენ ბუზღუნს.

მაგრამ ერთ საღამოს მათთვისაც მოხდა ახალი რამ.

ის იყო, ბებერი ბუები ფუღუროდან უნდა გამოფრენილიყვნენ, რომ უჩვეულო ხმა შემოესმათ. ჩაიხედეს ძირს და რას ხედავენ - ძალიან ლამაზი ბავშვი, რომ ვერც გაარჩევ , ბიჭია თუ გოგო, დგას, ფუნჩულა ხელები ოვალებთან მიუტანია და ტირის. ერთხანს ასე იტირა ბავშვმა, მერე კი იქვე ხმელ ფოთლებსა და ბალახებზე მიწვა და დაეძინა.

ბებერი ბუები ერთმანეთს უყურებდნენ **გიზგიზა** თვალებით: რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთო.

შესცივდება, - თქვა დედა ბუმ.

-ჰო, შესცივდება, - მიუგო მამა ბუმ.

ღამღამობით ახლა ძალიან ცივა.

- მაგასაც ხომ ეყოლება დედა?

- დედაც ეყოლება და მამაც.

ჩავფრინდეთ და ფრთები გადავაფარეთ.

ფუღუროდან გამოფრინდნენ. ერთი-ორჯერ შემოუარეს ირგვლივ. დასძახოდნენ მძინარე ბავშვს, მაგრამ ბავშვი არ გატოკებულა.მაშინ ერთი წინ ჩაუჯდა, მეორე-უკან, გაშალეს დიდი, მსუბუქი ფრთები, ბავშვს მთელ სიგრძეზე გადააფარეს და ასე გაშეშდნენ. ო, რა მშვენიერი სანახავი იყო ერთმანეთს ყბა-ყბა მიდგმული ორი ოვალებგიზგიზა ბუ და მათი ფროების ქვეშ მიმინარე ბავშვი!

აცივდა ძალიან.ბებერი ბუები მაინც **გაშეშებულები** ისხდნენ და ამაყად თავაღერებული გადასცემდნენ თავიანთი სხეულის სითბოს პატარა და ლამაზ ბავშვს. პატარებს ხომ ღამღამობით ძალიან სჭირდებათ სითბო, ბუებსაც და ადამიანებსაც!

გათენებისას ტყეში ხმაური ატყდა, მოისმა ძაღლების ყეფა და თოფის სროლა. ბუებმა ერთხანს იომმინეს,იომმინეს, მაგრამ ვეღარ გაუძლეს შიშს, აფრინდნენ და მუხის ფუღუროს
შეაფარეს თავი. მოირბინეს ადამიანებმა, ჩაიხედეს ბავშვთან, დაუწყეს კოცნა, ხელებით უსინჯავდნენ სხეულს, უკვირდათ, სულ რომ არ შესცივნოდა, ცისკენ იყურებოდნენ და ღმერთს სწირავდნენ მადლობას. ბებერი ბუებისაკენ კი არავის გაუხედავს .

ბებერი ბუები უყურებდნენ ადამიანებს და სანამ ჩაიძინებდნენ, ბუზღუნებდნენ: შუ-ბუ! შუ-ბუ! რაღაა ჩვენი სიცოცხლე!

როგორი თვისებებით ხასიათდებიან ბებერი ბუები?
სავარაუდო პასუხი:
კეთილები, საბრალოები, გულთბილები, შემბრალებლები, ბუზღუნები, საყვარლები.....

მტაცებელი ფრინველი ბუ
დალი ქოქოშვილი

აქტივობა მესამე(10წთ) - საინფორმაციო ტექსტის გაცნობა

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს საინფორმაციო ტექსტს და სთხოვს, ამ ტექსტის დახმარებით შეავსონ სქემა:

ბუ

ბუ ინდუმალია და საინტერესო ფრინველია. მას ბევრი უცნაური თვისება აქვს.

ბუ სხვა ფრინველებისგან დიდი თვალებით და ლამაზი, ჭრელი ბუმბულით გამოირჩევა. ის ღამის მტაცებელი ფრინველია. ყველაზე დიდი ზომის ბუ არის ზარნაშო. მას ადამიანის ზომის თვალები აქვთ. ამ ფრინველების თვალი მეტად მგრძნობიარეა სინათლის მიმართ. ბუს თვალები პირდაპირ იყურება. ამას გარდა, ყურები არასიმეტრიული აქვს. ზოგს ჰგონია, ის მხედველობით ნადირობს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ბუ სმენით ნადირობს. არასიმეტრიული ყურებიც იმიტომ სჭირდება, რომ სხვადასხვა კუთხით მიიღოს ინფორმაცია და უფრო ზუსტად დაადგინოს, სად არის მსხვერპლი.

ყველაზე უცნაური თვისება კი ის არის, რომ ბუს შეუძლია **ყ ვ ე ლ ა მ ხ ა რ ე ს შემოაბრუნოს თავი,** რასაც ვერც ერთი სხვა ფრინველი და ძუძუმწოვარი ვერ ახერხებს. ბუს რბილი და ფაფუკი ბუმბული ეხმარება იმაში, რომ ძალიან **ჩუმად იფრინოს.** ყველაზე დიდი ზომის ბუ - ზარნაშოს გაშლილი ფრთების სიგრძე 1,5 მეტრია და შეუძლია ისე მოფრინდეს ახლოს, რომ ვერც გაიგოთ. მსხვერპლსაც უჩუმრად უახლოვდება.

ბუს მთავარი საკვებია:

მღრღნელები, ასევე სხვა ძუძუმწოვრები, მცირე ზომის ფრინველები, ბაყაყები, გველები, ხვლიკები. ბუს ნისკარტი მოკაუჭებული აქვს, რომ ხორცი კარგად დააქუცმაცოს, კარგად განვითარებული კლანჭით კი მსხვერპლს იჭერს.

ბუს ნადირობის სტილი ასეთია: ერთხანს შემაღლებულ ადგილას ზის და მსხვერპლს დარაჯობს. კარგი მხედველობისა და სმენის წყალობით, სწრაფად იგებს თაგვების ადგილმდებარეობას და ეჭირვად თავს ესხმის.

ყველაზე **პატარა ზომის** ბუს ჰქვია წყრომი. ის შაშვისხელაა და სპეციფიკურ, სტვენასავით ხმას გამოსცემს. მისი გ ა შ ლ ილ ფ რ თ ე ბ ი ს ზ ო მ ა 50 სმ-მდეა. წყრომი, ძირითადად, მწერებით იკვებება, იშვიათად მღრღნელებით, რადგან დიდ მღრღნელებს ადვილად ვერ ერევა.

ზარნაშო

წყრომი

კითხვა	სავარაუდო პასუხი
როგორი თვალები აქვს ზარნაშოს?	ზარნაშოს თვალების ზომა ადამიანის თვალების ზომის ტოლია.
როგორი მხედველობა აქვს?	ბუს აქვს კარგი მხედველობა.
რა ეხმარება ნადირობაში?	1. კარგი სმენა; 2. კარგი მხედველობა; 3. ჩუმი ფრენა; 4. კლანჭები და მოკაუჭებული ნისკარტი.
რომელია ყველაზე დიდი ზომის ბუ?	ზარნაშო
რომელია ყველაზე პატარა ზომის ბუ?	წყრომი
დღის მტაცებელია თუ ღამის?	ის არის ღამის მტაცებელი.
რით იკვებება?	მღრღნელები, სხვა ძუძუმწოვრები, მცირე ზომის ფრინველები, ბაყაყები, გველები, ხვლიკები.

აქტივობა მესამე (5 წთ) - დოკუმენტური ფილმის ნახვა.



დოკუმენტურ ფილმში გადმოცემულია, თუ როგორ ესხმის თავს ბუ მსხვერპლს. კარგად ჩანს ბუს „ჩუმი ფრენა“.

აქტივობა მეოთხე (10წთ) - მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკავშირონ წაკითხულ მხატვრულ ტექსტში მოცემული ინფორმაცია დოკუმენტურ ფილმში და საინფორმაციო ტექსტში მოცემულ მასალასთან, იმსჯელონ:

რა თვისებები გამოუგონა მწერალმა მოთხრობის პერსონაჟს?	**სინამდვილეში როგორი ყოფილა ბუ?**	**ივარაუდეთ, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, ნაწარმოებში აღწერილ პერსონაჟს ფილმში აღწერილი თვისებებიც რომ ჰქონოდა.**
კეთილშობილება, **სიბრალული**	მტაცებელი დაუნდობელი უშიშარი ჭკვიანი საშიში	სავარაუდოდ, ბუები ბავშვს კლანჭებით აიტაცებდნენ... შეათრევდნენ ფუღუროში და დაკორტნიდნენ... ვერც შეამჩნევდნენ და ბავშვი სიცივისაგან გაიყინებოდა..

აქტივობა მეექვსე (2 წთ) - საშინაო დავალება.

ინტერნეტიდან, ენციკლოპედიიდან მოიპოვეთ დამატებითი ინფორმაცია თეთრი ბუს და ყურებიანი ბუს შესახებ და მოძიებულ ინფორმაციას მიუთითეთ წყარო.

შეფასება (2 წთ) - განმავითარებელი შეფასება.

კრიტერიუმები განმავითარებელი შეფასებისათვის:
1. მოსწავლემ სწორად აღწერა ბუს თვისებები მოთხრობის მიხედვით;
2. მოსწავლემ მოთხრობაში აღწერილი შეადარა საინფორმაციო ტექსტში და ფილმში ნანახს (რა იყო მართალი და რა გამონაგონი);
3.მოსწავლემ გააკეთა სწორი შეჯამება (დასკვნა).

N	კრიტერიუმები	არა	დიახ
1	მოსწავლემ გამოყო ბუს თვისებები მოთხრობის მიხედვით		
2	მოსწავლემ შეადარა მოთხრობაში, საინფორმაციო ტექსტსა და ფილმში ნანახი ამბები		
3	მოსწავლემ შედარებით ანალიზზე დაყრდნობით შეაჯამა მასალა		

გამოყენებული მულტიმედიარესურსები:

ლინკი https://www.youtube.com/watch?v=w4OH6gMN6vY

http://club-monadire.ge/index.php?showtopic=689

შენიშვნები - ამ ტიპის გაკვეთილებს დიდი მნიშვნელობა აქვს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისათვის, რადგან ტექნოლოგიებისა და სქემების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას, მათ აქტიურად ჩაბმას საგაკვეთილო პროცესში და შესასწავლი მასალის უკეთ გააზრებას.